საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციონ. პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 127

ხუთშაბათი იანვრის 19

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს, იანვრის 19-ს
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს
მორიგი მეცხრე
ლიტერატურული ხუთშაბათი.

ი. გრიშაშვილის

მოხსენება.
მოხსენების საგანი: ახლად გარდაცვლებული.
სახალხო მგოსანი

ჰაზირა

დასწრება ყველას შეუძლიან.
შესვლა უფასოა.
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

## განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

## მემედ აბაშიძე

სამუსლიმანო საქართველოს საკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანია მთელი საქართველოსათვის. ჩვენ ხშირად ვსწერთ, ბევრს ვლაპარაკობთ და თეორიულად კარგად ვაფასებთ სამუსლიმანო საქართველოს მნიშვნელობას, საქართველოს როგორც ძველს, ისე მიმდინარე ისტორიაში, მაგრამ ამავე დროს ჩვენი ქვეყნის არც ერთს კუთხეს იმდენი ზიანი, იმდენი გაჭირვება და დაუცხრომლობა არ განუცდია, რამდენიც სამუსლიმანო საქართველოს.

ჩვენ ხშირად ვიმეორებთ ხოლმე: მთელი საქართველო რა არის, თუ მის სხეულს ჩამოსჭრით ჩვენი ისტორიის და კულტურის ისეთს აკვანს—როგორც სამუსლიმანო საქართველოა. მაგრამ განა კიდევ მეტის უფლებით, კიდევ მეტის სიმართლით არ შეუძლიან სთქვან თვით სამუსლიმანო საქართველოს მოღვაწეებმა:—რაა სამუსლიმანო საქართველო, თუ მას ჩამოსჭრით და ჩამოაცლით არტაანს, ოლთისს და მთელ ართვინის ოლქს?

ჩვენს ხელში სამუსლიმანო საქართველო დაქუცმაცდა, დაღარიბდა, დაკნინდა. ჩვენი დამოკიდებულება სამუსლიმანო საქართველოსადმი მუდამ სიტყვიერი იყო, ზოგადი, ზერელე და არა პრაქტიკული და ფაქტიური.

ჩვენ უნდა შევიგნოთ ჩვენი ნაკლი, ჩვენი შეცდომანი და შევეცადოთ მის გამოსწორებას.

სამუსლიმანო საქართველოს ხალხის პოლიტიკურს გამოფხიზლებაშიაც ჩვენ სრული უნიჭობა გამოვიჩინეთ. ჩვენ თავის დროზე ვერ მოვახერხეთ მუსლიმან ქართველობის გულის გახსნა და სარევოლუციო ბრძოლების ბრწყინვალე სხივებით იმ გულის გათბობა და განათება, ჩვენ ვერ ჩავაბით მუსლიმანთა მასსა ჩვენს საერთო საქმეებში და გზა მივეცით ყველა ვიგინდარას თავისუფალი ძეწაობისათვის ყოველ ავანტიურის სასარგებლოდ.

მხოლოდ ჩვენს პოლიტიკურს სიბეცეს, ჩვენს ორჭოფულს და შეიძლება არაგულწრფელ მუშაობის შედეგს მიეწერება ის ფაქტი, რომ სამუსლიმანო საქართველო და მისი მოღვაწეები ჩვენ მუდამ გვეცხადებოდნენ რაღაც იდუმალების ქვეშ, იჭვებით, შეჭმუხნული შუბლით... ჩვენ გვჭიროდა მტკიცე მებრძოლები როგორც სამუსლიმანო საქართველოს მთლიანობისა, ისე მტკიცე მებრძოლები მისი დასაკავშირებლად დედა საქართველოსთან. ჩვენ გვინდოდა გულწრფელი, უანგარო, პირდაპირი, ცხოვრებით აზრდილი და ცოდნით გამსჭვალული მოღვაწეები, მაგრამ ჩვენს წინაშე ცხადდებოდნენ ორგულნი, გარეწარნი, ერთ ჯიბეში სამ სახის თამასუქების მატარებელნი.

ჩვენ ამას დღესაც იმიტომ ვიგონებთ, რომ დღესაც სამუსლიმანო საქართველოს მთლიანობა ჩვენგან მოითხოვს არაჩვეულებრივ ენერგიას, საქმიანობას, დაკვირვებას და იმ ძალების დაგროვებას, რომელნიც გამობრძმედილან საქართველოსათვის და სამუსლიმანო ქვეყნის აღდგენის საქმეში.

დღესაც ჩვენ გვმართებს ბევრი მუშაობა ამ საპარეზზე. ძალები, რომელნიც დაეჩვივნენ სამუსლიმანო საქართველოს ტკბილი ნაჭრებით დატკბობას კიდევ არ ისვენებენ და ცდილობენ ისევ და ისევ სჭრან და ჩეჩნიან სამუსლიმანო საქართველო...

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ამიერიდან ამ მიზანს ვერ შესძლებენ ჩვენი ქვეყნის მოძულენი. ვერ შესძლებენ იმიტომ, რომ ჩვენს სამუსლიმანო საქართველოს ხალხში გაღვიძებულია დრომა სიყვარული ახალი ცხოვრებისადმი, იმიტომ, რომ თუ ჩვენი მამებისათვის წყვდიადით ჩაიარა 1905 წლის მოძრაობა, აგრეთვე 1917 წლის რევოლუცია, ჩვენ თამამად შეგვიძლიან აღვნუსხოთ, რომ საგრძნობლად რევოლუციონური მოძრაობის შინაარსი და მნიშვნელობა გამოისახა მხოლოდ ფუხარა ძეჯლისის დაარსების შემდეგ, მას შემდეგ, რაც სამუსლიმანო საქართველოს სცენაზე გამოგვეცხადნენ სრულიად ახალი მუშაკნი, ახალი ძალები, მუდამ დაბეჩავებული და სიბნელეში მყოფ მასსიდან.

თუ ჩვენ წმინდა ეროვნული გზით მივდიოდით სამუსლიმანო საქართველოში და იგი გზა განვასახიერეთ ჩხიკვიშვილის პოლიტიკაში, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა სამშობლოს საკითხს საბჭ. საქართველოში, როცა იგი კუთხე აივსო საეჭვო პირებით, როცა სისტემატიური არასასურველი ექსცესები გახშირდნენ და გამრავლდნენ, დღეს ჩვენ უნდა მივიდეთ აგრეთვე რევოლუციონური პოლიტიკის წარმოებითაც, სრული სოციალური ტეხის ხაზი აღვსახოთ როგორც დემარკაცია სამუსლიმანო საქართველოს და ანგორას შორის.

ნიშნებია, რომ ამ გზით ბევრის გაკეთება შეიძლება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ახალ პოლიტიკით არა თუ გავსწმენდთ დაქუცმაცებულ სამუსლიმანო საქართველოს ატმოსფერას არამედ რაც უმთავრესია—ჩვენ საძირკველს ჩავუყრით სამუსლიმანო საქართველოს განმთელებას, აღდგენას და მის მტკიცე კავშირს დედა საქართველოსთან.

აი რა არის ჩვენი გულის საგანძური სამუსლიმანო საქართველოს საკითხში. ამ იდეას მარტო ობოლი ადამიანები როდი ატარებენ. ჩვენს დედაქალაქში დღეს ცხოვრობს მუსლიმანი ქართველი, რომელიც როგორც ჯიდა სრული გამოკვეთაა საქართველოს მთელი კულტურის. ვინ არ იცნობს ამ დიდ ქართველს:

— როგორც მწერალს,
— როგორც ორატორს,
— როგორც სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარეს,
— როგორც ქემალისტების ტუსაღს საქართველოს ერთგულებისათვის.
— როგორც ყველაზე უანგარო და უმწიკვლო ადამიანს მთელს საქართველოში.

მემედ აბაშიძე! ჩვენ არ გვყავს არც ერთი პიროვნება ესოდენ მტკიცე და ურყევი მებრძოლი სამუსლიმანო საქართველოს აღდგენისა, მთლიანობისა, საქართველოსთან დაკავშირებისა. ჩვენი მელანი ამოიწურა საქართველოს მეგობართა და საქართველოს ჭეშმარიტ შვილთა ძიებაში და სამუსლიმანო საქართველოს წიაღში პირველი მოქალაქე მხოლოდ მემედ აბაშიძეა:

— უსახლკარო,
— უმამულო,
— ფუხარა.

მემედ აბაშიძე ფიქრი, სიმბოლოა სამუსლიმანო საქართველოს საქმეებია. ჩვენ გვინდა მამედები გვყავდნენ სამუსლიმანო საქართველოს საქმეებისს. ჩვენ გვინდა მამედები გვყავდნენ სამუსლიმანო საქართველოში. ჩვენ მას ვენდობით, მას ყველა ენდობა ვისაც სწამს და უყვარს საქართველო. სამუსლიმანო საქართველოს საქმეები საიმედო ძალთა ხელში იქნება, თუ იქ მამედები მომუშავეთ.

მემედი!.. იგი სოციალი ფიგურა არასოდეს ყოფილა. ის არც ფედერალისტია, არც მენშევიკი, არც ბოლშევიკი:—იგი ქართველია მხოლოდ, რომელიც საქართველოს გამაგრებისათვის სიოცარის ხიქით და დაკვირვებით გახზე სტოვებს სოციალ მომენტს.

თუ სოციალი მომენტი არის მოძენტი სიღარიბე, ფუხარობის, უძლურთა და ბოგანოთა დახმარების, თუ სოციალ მომენტში პატიოსან სიტყვას მივიჩნევთ, ამხანაგის ხდომას, ბრძოლას, საერთო საქმეების გაკეთებას—მაშინ მემედ აბაშიძე არა მარტო პირველი მოქალაქეა სამუსლიმანო საქართველოს, არამედ იგი პირველი სოციალისტიც არის აღნუსხული საქართველოსი.

მემედი დღეს ტფილისის სტუმარია, საჭიროა იგი ბათომის მასპინძელი იყოს, დღეს მემედი ესვენებს ქალაქში, საჭიროა ის არ ისვენებდეს ქობულეთ-ხულოს ძიდამოებში და იბრძოდეს ამ საშარადისო საქმისათვის, რისთვისაც ოცნებობს და იბრძვის ყოველი ქართველი.

ფიდო ლლონტი.

## ქართული პრესა

იმ უთანხმოების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლის-საფრანგეთს შორის გაზეთი „კომუნისტი“ № 14 სწერს:

„ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი, რომელმაც თავის გამოხატულება ჰპოვა არისტიდ ბრიანის სამინისტროს გადაყენებაში და დიდი ბრიტანეთის პრესის კამპანიაში საფრანგეთის წინააღმდეგ, ჩრდილავს დროებით საერთაშორისო პოლიტიკის სხვა კითხვებს და თავისკენ იზიდავს საყოველთაო ყურადღებას“.

„იგი განაგრძობს გერმანიის მიწაზე დანარცხების, მისი სამხედრო ძლიერების განადგურების შემდეგ. მთელ რიგ გარემოებათა გამო, გეგემონია ევროპის კონტინენტზე ხელთ იგდო საფრანგეთმა. მის საძიგნად შეიქნა გაპარტახებული და დაფლეთილი გერმანია, საერთოდ ცენტრალური ევროპა, რომელიც შედიოდა ანტანტის მოწინააღმდეგე კოალიციაში და „პატარა“ „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები. ამ გარემოებამ შექმნა დიდ ბრიტანეთში ერთნაირი უკმაყოფილება, რომელიც როულდება ორი ქვეყნის იმპერიალისტურ მეტოქეობაში ჩაქსოვილ წინააღმდეგობებით, რაც უფრო და უფრო გამოჩნდა ყველას დასანახავ დღის სინათლეზე. განსაკუთრებით საერთო საშიში მეტოქის, გერმანიის, დამარცხების შემდეგ.

პირველმა უმთავრესმა წინააღმდეგობამ, რომლის დამალვა შეუძლებელი შეიქმნა და მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, თავის გამოხატულება ჰპოვა ოსმალეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებაში. ყრუ უკმაყოფილება საფრანგეთით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლამანშის გაღმა, უფრო აშკარა შეიქმნა ამ ხელშეკრულების შემდეგ, და ადგილი მისცა ერთ შეხლა-შემოხლას ინგლის-საფრანგეთ შორის. „ამ წინააღმდეგობას მიეცა სერიოზული ოფიციალური გამოხატულება მთელ რიგ ნოტების გაცვლა-გამოცვლით ორ მთავრობის შორის. ტემზის ნაპირზე, საგარეო საქმეთა ოფისში, გამოცდილი და გამოქნილი ხალხი სხედან. მათ იგრძნეს, რომ ქემალთან დადებულ ხელშეკრულებას გარდა, რომელიც გამოქვეყნდა, არსებობს კიდევ საიდუმლო ხელშეკრულება ოსმალეთთან, რომელშიაც დაინახეს სერიოზული საფრთხე თავის მდგომარეობისათვის მესოპოტამიაში. გარდა ამისა, თვით ხელშეკრულების დადების ფაქტმა გამოიწვია ინგლისში უკმაყოფილება იმ მხრივ, რომ საფრანგეთი ვითომც ევლინებოდა ოსმალეთს, როგორც მეგობარი და დამცველი ინგლისის წინააღმდეგ და უკვე ამით ემუქრებოდა უკანასკნელის ტრადიციულ გავლენას სამუსულმანო ქვეყნებში. თუ ამასაც მივუმატებთ, რომ დიდი ბრიტანეთის ოფიციალური პრესა საზოგადოდ საღავოდ ხდიდა საფრანგეთის, როგორც მოკავშირის, უფლებას სეპარატიულ ნაბიჯების გადადგმაზე ოსმალეთში, ინგლისის დაუკითხავად, აშკარა არის მოტივები უკმაყოფილების“.

ზემოთქმულს მიემატა ინტერესთა წინააღმდეგობა ორი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში გერმანიასთან.

გერმანია ის ძალაა კიდევ დღესაც, დამარცხების შემდეგაც, რომელიც შიშის ქრუანტელს ჰგვრის „გამარჯვებულ“ საფრანგეთს. პოლ დერულედის „ანდერძზე“ აღზრდილი თაობა საფრანგეთის „revanchard“-ების, რასაკვირველია, ერთი წუთითაც ვერ გაუშვებს ყურადღებიდან იმ გარემოებას, რომ ახალი „1871 წელი“, რომელიც არგუნა ისტორიული ბედის ტრიალმა ახლა უკვე გერმანიას, რევანშის კულტს ზრდის და აღვივებს გერმანიის ეგრედწოდებულ საზოგადოებაში. აჩრდილი იარაღში ჩამჯდარი ძლიერი გერმანიის, რომელიც ისახება საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის ისტორიულ პერსპექტივაში, ეს აჩრდილი თავზარს სცემს მას უკვე დღესვე. ამიტომ ის ჩაბმულია ძალთა კომბინაციის ისეთი გეგმების შემუშავებაში, რომელმაც, მისი აზრით, უნდა უზრუნველჰყოს ის ყოველგვარ მოსალოდნელ შემთხვევებისათვის. დღეს კი საფრანგეთის იმპერიალიზმის წინ დგას კითხვა, რაც ძალა და ღონე შესწევს; მთელი თავისი შესაძლებლობით, რომელსაც მას აძლევს მდგომარეობა გამარჯვებულის და იარაღ აყრილი, დაფლეთილი, გასრესილი გერმანიის, ხელი შეუწყოს მის განადგურებას. კონკრეტულად ეს გეგმა უნდა გატარდეს დღეს დამარცხებულისაგან კონტრიბუციის აგლეჯით, რათაც არ უნდა დაუჯდეს ეს გერმანიის მეურნეობას, თუ გინდ მისი განადგურების ფასითაც. მაგრამ ამისთვისაც საჭიროა თანხმობა ყველა „გამარჯვებულების“. უმთავრესად ინგლისისა და საფრანგეთს შორის.

მაგრამ თავისი შინაური ეკონომიური მდგომარეობის გამო ინგლისის „საქმის ხალხი“ რამოდენიმეთ სხვანაირად უდგება საკითხს გერმანიის ვალების შესახებ. ეს რასაკვირველია არ შეადგენს საიდუმლოებას საფრანგეთისათვის, იგივე ხელმძღვანელი ორგანო საფრანგეთის ბურჟუაზიის ასე გამოხატავს არსებულ წინააღმდეგობას: „რას მოითხოვს პირველ ყოვლისა საფრანგეთის ინტერესები? იმას რომ მისი დანგრეული რაიონები კვლავ აშენდეს. რას მოითხოვს ინტერესები ინგლისის? იმას, რომ მისი საგარეო ვაჭრობა—ეს არის „დანგრეული რაიონი“ მისთვის გაჩაღდეს.—ამნაირათ საფრანგეთის აღსადგენათ საჭიროა, რომ გერმანიამ გადიხადოს, ინგლისის ვაჭრობა რომ გაჩაღდეს, საჭიროა, რომ გერმანიას შეეძლოს ყიდვა.“ ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ყიდვის საშუალება გერმანიას მოსპობილი აქვს მარკის ფასის დაცემით და ეკონომიური განადგურებით რომელ მიზეზებსაც კიდევ უფრო ართულებს საფრანგეთის შეურიგებლობა მის წინააღმდეგ. აქედან—ინგლისი მომხრეა გადადებულ იქნეს ვალის გადახდის ვადა მორატორიუმი, საფრანგეთი კი ამის წინააღმდეგი. დიდი შეხლა შემოხლის შემდეგ თითქოს საფრანგეთმა ბრიანის პირით დასთმო რამოდენიმეთ ამ საკითხში ინგლისთან მომხდარ შეთანხმებაში, კანში, მაგრამ სხვათა შორის სწორეთ ამ „შეთანხმებამ“ კიდევაც იმსხვერპლა ბრიანის სამინისტრო.

რუსეთის საკითხმა, რომელიც წინათაც იყო გამხდარი უთანხმოების საგნათ, კიდევ უფრო გაართულა მათ შორის ურთიერთობა. რვა მილიონი მუშა დიდი-ბრიტანეთის განძრევის ღონეს არ აძლევს ლლოიდ-ჯორჯის მთავრობას და კატეგორიულად მოითხოვს მისგან შეთანხმებას რუსეთთან იმ შემთხვევაშიაც კი, თუ დანარჩენი „მოკავშირეები“ მის წინააღმდეგი იქნებიან. შინაური მდგომარეობა ქვეყნის, მისი მეურნეობის დაშლა, საფრთხე, რომელსაც უმზადებს მას ეკონომიური კრიზისის გამო აქტიური მოძრაობის გზაზე შემდგარი მილიონები შრომის არმიის, აიძულებენ დიდი-ბრიტანეთის მთავრობას გადამჭრელი ნაბიჯი გადადგას საბჭოთა რუსეთის „ცნობისათვის. ამის საწინააღმდეგო იყო და არის საფრანგეთის იმპერიალიზმი.

ყველა ამ მიზეზებმა დაბადა წინააღმდეგობა ორ მოკავშირეთა შორის“.

ასე, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ანტაგონიზმი ლოღიკური გზით მიდის და ყოველივე ეს საწინდარია თვით არსებული სამეურნეო ორგანიზაციის სასიკვდილო აგონიისა.

## ახალი ამბები

— დღეს საღამოს ექვს საათზე ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13, გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრე ლიტერატურული ხუთშაბათი. მოხსენებას წაიკითხავს ი. გრიშაშვილი. ჰაზირა (ახლად გარდაცვლილი სახალხო მგოსანი) დასწრება შეუძლია ყველას. შესვლა უფასოა.

# რუსეთი

მოსკოვი, „უწყებები“ იტყობინება: „მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა, ამხ. კამენევის ხელმოწერით, გამოაქვეყნა განმარტება, რომ სიცრუეა სპეკულიანტების მიერ მოგების მიზნით გავრცელებული ხმები ძველი ფულების გაუქმების შესახებ. ახალი ფულის ნიშნები გამოშვებულია ანგარიშის გასაადვილებლად. ძველი ფულის გადაცვლა ახალზე და პირიქით, ახალისა ძველზე წარმოებს ყველა სახელმწიფო სალაროებში და საბჭოთა დაწესებულებებში. ძველი ფულები არ იქნება გაბათილებული. (ცავროსტა).

მოსკოვი. „უწყებების“ ცნობით რ. ს. ფ. ს. რ. ფოსტა-ტელეგრაფის ქსელი შესდგება 12744 დაწესებულებებთან, მათში 8.032 ფოსტისა, 284 მიმღები და 38 მძლავრი და ნახევ. მძლავრი რადიო-სადგური, 5.964 საცხენო სადგური, 558 საფოსტო ვაგონი; 121,500 ვერსი სატელეგრაფო ხაზია, 554,250 სამავთულო ვერსი და 75,000 ვერსი სატელეფონო ხაზი 264,700 ვერსი მავთულით ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა შემადგენლობა შტატების შემცირების შემდეგ უდრის 140,000 კაცს. უკრაინაში ირიცხებოდა 2264 ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, მათ შორის საფოსტო 1,153 რომლის პირადნული შემადგენლობა 39,500 კ., საფოსტო ტრაქტი—15,000 ვერსი, საცხენო სადგური 1,151, ცხენი—8177. 9 თვის განმავლობაში ფოსტა-ტელეგრაფის აპარატში გაიარა 644,000 წერილმა.

# პარტიული ცხოვრება

რუსეთის საბჭოთა მეცხრე ყრილობიდან დაბრუნებულმა ამხანაგმა თედო დლონტმა სამშაბათს 17 იანვარს პარტიულ კლუბში გააკეთა მოხსენება „მოსკოვი“-ს შესახებ. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. მოხსენებამ გასტანა 2½-ნახ. საათს.

26 იანვარს ზუგდიდის მაზრაში შესდგება მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა სარ. პარტიის სამაზრო კონფერენცია.

# დანტე და ბიატრიჩე

„სიყვარულის ღვთაებრივი ძალა დამოკიდებულია მოყვარულ ინდივიდთა ხარისხზე“.
შოპენჰაუერი.

ვისაც დანტე სმენია, იგი ბიატრიჩესაც გაიგონებდა. ვინც დანტეს იცნობს, იგი აუცილებლად ბიატრიჩესაც იცნობს.

ქალი თუ დიდ გავლენას ახდენდა ნაპოლეონსა და ბისმარკზე, ამ მტკიცე ნების განსახიერების პიროვნებებზე, ქალი კლოტილდა დე-ვო თუ პლატონიურ გრძნობებს აღუძრავდა და ღრმა კვალს დააჩნევდა პოზიტივიზმის საუკეთესო წარმომადგენლის ოგუსტ კონტის შემოქმედებას, ქალი გრაფინია ბუფლერი თუ ემპირიზმის საუკეთესო წარმომადგენელს ახალ ფილოსოფიაში, დავიდ იუმეს დააწერინებდა „თქვენ დამიხსენით მე აღმიანისა და ქვეყნის მიმართ სრულ გულგრილობისაგან“ და მხოლოდ თქვენთან ყოფნა მირჩევნია ყოველ მოვლენობასაო. ცხადია ქალი, დაჯილდოებული ასეთი მაგიური თვისებით, პოეტთა მუზას გამოხატავდა და პოეზიის ღმერთი შეიქმნებოდა.

და მართლაც ქალი პოეზიის ღმერთი გახდა. ამაში ჩვენ დაგვარწმუნებს მცირე ექსკურსია პოეტთა და ხელოვანთა ბიოგრაფიიდან.

ანაკრეონი ქალის მგოსანია. მისი პოეზია სიყვარულის და ტრფობის პოეზიაა.

არხილოხს, ლიკამბის ასული ტრფიალი და მათი მამის უარი ყოველივეს აგიწყებს, ჰკიცხავს მათ ლექსში და იძულებს თავის ჩამოხრჩობას.

ალკეო საფოს ტრფობით ცნება. ევრიპიდეს ჰძულდა თავის ცოლი და ევრიპიდეც სწერს „იპოლიტის“, რომლის გმირი ზევს შეჰყვედრის „ო ზევსო“ შენ დაბადე ადამიანის ცხოვრება ქალის გაჩენითო“...

ოვიდი სამშობლოდან იდევნება რომანიულ ნიადაგზე. მისი პოემა „Ars amandi“ (ხელოვნება სიყვარულისა) ფაბიას გავლენით იწერება.

კატულის საყვარლის გარყვნილი ლესბია. კატულის კრიტიკოსნი მის შემოქმედებას სამ ნაწილად ჰყოფენ 1) ლესბიას გაცნობამდე, 2) მისი ტრფობის დროს და 3) მისი გაშორების შემდეგ.

კატულის პოეზია ლესბიას სიყვარულის ანარეკლია.

ჰორაციოს შემოქმედება გეტერების ხოტბაა. მისთვის ქალი—ყველაფერია. მისი სატრფოთა ჩამოთვლაც შეუძლებელია.

პეტრარკა დანტეს თითქმის მისი ლაურას მიმართ. ლეოპოლდის პესიმიზმი სატრფოს დაკარგვის ნიადაგზე აღმოცენებული.

ლოპე-დე-ვეგება 1,800 დრამატიული ნაწარმოების ავტორია, მის ნაწარმოებთა რიცხვი მცირეა მის სატრფოთა რიცხვთან. იგი ჭეშმარიტი დონ-ჟუანია. 17 მგოსანი უკვე რამდენიმე ქალის მიჯნურია.

გეტეს იდეალი ქალია. იგი ქალს მოარჩილებს ყველგან და ყოველთვის. გეტეს ცხოვრება სატრფოთა ცვლაა, ქალთა თაყვანებაში გადის. მისი გრეტხენის წინაშე ცრემლებს აფრქვევს გეტე, მაგრამ გეტეს სიყვარული მასზე არ ჩერდება იგი კეტხენს უკავშირდება, ტანჯავს თავისი ეჭვებით, კეტხენი შორდება მას. ამის გამო გეტე სწერს პიესას „შეყვარებულის ნადველს“. გეტე ემილიის ეტრფის, ემილიის დას, ლიუცინდას გეტე უყვარს.

ფრიდერიკა შემდეგი სატრფოა გეტესი. იგი დიდ გავლენას ახდენს გეტეს შემოქმედებაზე. გეტეს ლოტა უყვარს. მისი გავლენით იწერება დიდებული „ვერტერი“. გეროკე მიზეზი ხდება ტრაგედია „კლავიგოს“ დაწერისა. ლილის გეტე უძღვნის მთელ რიგ ლექსებს. შარლოტა ფონ-შტეინის სიყვარული 14 წელს გრძელდება, რის გავლენით იწერება „იფიგენია“. გეტეს ცოლი ქრისტინა ვულპიუსი, ლამაზი, ფუქსავატი, უზნეო და ლოთი გეტეს უპირავს ხშირად მკლავებში და ისე სთხზავს ლექსებს.

მაგრამ ცოლის შერთვა ვერ იჭერს გეტეს. ზემოდხსენებული ძაგლითების მზგავსი მეორდება. გეტეს კ დევ უყვარს მისი ბეტინა, მისი კაროლინა მრავალფერი. 60 წლის გეტეს უყვარს მინა გერცლიბი, 65 წლისას ვილერმი, 75 წლისას უყვარს 16 წლის ულრიკა ლევენცოვისა. დიდებული გენია ქალ ია მონა იყო. ქალია ტრფიალი მისი სულის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენდა.

შილერის შემოქმედებაც ლაურას, მინას, ფრანცისკა ფონ-გოგენგეიმის, შარლოტა ვოლცოგენის, შარლოტა ფონ-ბალმის, მარგარიტა იგენის, მარია გენრიეტას, კაროლინასა და ლოტას გავლენას ემორჩილება.

ვოლტერი ფიზიკური სიმახინჯის განსახიერებაა, მაგრამ ქალთა მიჯნურია. ისიც ქალის მოთაყვანეა. რასინის შემოქმედებაზეც ქალთა გავლენა დიდია.

16 წლის შექსპირი ჯვარს-იწერს 26 წლის სუსანაზედ, რომელსაც 5 თვის შემდეგ ეყოლება ქალი. შექსპირის ეჭვიანობა გენიალურ „ოტელოში“ ყალიბდება. შექსპირი რისხვაა ქალის, იგი უძლიერესის მბრალდებელია მისი, მაგრამ მერი ფიტონის, ფუქსავატის, კოკეტკის თაყვანის-მცემელია.

ბაირონი ქალს უწმინდურ არსებად სთვლის, ქალი სუფრაზედ დაშვების ღირსადაც არ მიაჩნია. იგივე ბაირონი ძონაა მარგარიტა პერკერის, მერი ჩევორტის, ლედი კაროლინა ლემის, ანნა იზაბელა მილბანკის, ტერეზა გვიჩიოლის.

„ჩაილდ ჰაროლდი“

„დონ-ჟუანი“ „აკაინი“ მაზეპა“ და სხვა ძის სატრფოთა ზეგავლენის ნაყოფია. „მხოლოდ ქალში შემიძლია მე განკურნებაო“ გვეუბნება ბაირონი. ბაირონი „მძულდი ქალისა, მოყვარული და მორჩილია მისი.“

რაფაელის სასიკვდილო სარეცელს მტირალი ასული ამშვენებს. მიქელანჯელოს შემოქმედება ვიქტორია კოლონას გავლენას ემორჩილება. ტიციანს თავისი მეუღლე ყოველ საღამოს სთხოვს ღვიური ანგარიშების ჩაბარებას და სტუქსავს მას მომქივნეობის დარღვევის სათვის. მაგრამ ტიც ანი ცბიერებასაც მიმართავს და გულის სიწრფელით ეტრფის მას. ბეტხოვენი თავის ჯულიეტა—გვიჩარდის უძღვნის „ახგელოზს“ „ცხოვრებას“. მაგრამ ჯულიეტა უფრო აფასებს გრაფებს, ვიდრე მუსიკოსის გენიას.

ყოველივე ეს ასეა, მაგრამ დანტე და ბიატრიჩე მაინც განსაკუთრებული მოვლენაა. დიდ პიროვნებათა ისტორია ქალთა ურთიერთობაში, იშვიათად თუ იძლევა ამგვარ ტრფობას. დანტეს სიყვარული რაღაც არა ბუნებრივი, რაღაც უცნაური გრძნობაა, რომელიც არც შეიძლება სიყვარულის თერმინით მოიხსენიოს. სატრფოსათვის თავგანწირვა, ქონების გაფლანგვა, ოჯახის დანგრევა და თვითმკვლელობა იცის დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიამ, მაგრამ მან არ იცის ესოდენი განუსაზღვრელობა გრძნობისა, რომელსაც იჩენს დანტე ფლორენციის პორტინარის ქალის მიმართ.

დანტეს ბიოგრაფებს პირველ ხანში არც სჯეროდათ, რომ ბიატრიჩე სინამდვილეში არსებული ქალი იყო, ის ეგონათ პოეტის ფანტაზიის მიერ შექმნილი ზეარსი, დაჯილდოვებული ყოველივე სრულქმნილებით, მაგრამ ბოლოს მაინც ნათელი გახდა 19 წლის დანტეს მიჯნურობა 18 წლის ბიატრიჩეს მიმართ.

მაგრამ დანტეს ღვთაება 23 წლის უკვე იფარება ცივ სამარეში და ისიც თავის ნაღველს გამოსთქვამს სონეტებში და შემდეგ კი სწერს „ღვთაებრივ კომედიას“, სადაც მას ბიატრიჩე შეჰყავს იმ სამყაროს ფარგლებში, რომლის მგზავსი არ განუცდია არც ერთ ქალს.

დანტეს გრძნობას ვერ სცვლის, ვერც დაქორწინება ბიატრიჩესი და ვერც მისი გარდაცვალება. იგი დანტეს რწმენაა, მისი ღვთაებაა, მისი იდეალია.

ასეთი იყო ტრფობა იტალიის დიდებული პოეტის დანტესი, რომლის გარდაცვალების შემდეგ უკვე 600 წელია გასული. დანტეს ტრფობამ ნათელჰყო, რომ ტრფობა არა მარტო მაღალი გრძნობაა, არამედ იგი ნაწილია ღვთაებისა.

დანტეს სულის, მისი შემოქმედების მუზა იყო ის „სუსტი არსება“, რომელსაც ქალი ეწოდება..

ქალი არა მარტო პოეტთა მუზაა, არამედ იგი ხშირად მეუფეა მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა. ხშირად ქალს ხელთ უპყრია სადავე სახელმწიფოს ცხოვრებისა. ვაჟის სისუსტის ემბლემა ქალის წინაშე არის ლეგენდა ხამსონი და დალილა ხოლო ვაჟის ღვთაებრივი გრძნობის ემბლემაა დანტეს ზეპლატონიური აღმაფრენა.

დანტესებური ტრფობაა განმსჭვალავს ღვთაებამდე ამაღლებას უდრის. ადამიანის სული ღვთაებისაკენ ისწრაფვის. სიყვარული ხომ იგივე ღვთაებაა...

ხერ. ამაღლობელი.

## უგზო ფიქრი

აბრილიანტდა ვარსკვლავი ღამე,
ცას მიათხოვა მარმარა შუქი.
გადაიდარა, საღამოს ცრემლმა.
ღიმილს გადახსნა სევდის პატრუქი.

მე კი წამილო ისეთმა ფიქრმა
ცრუ ჰიპოტეზით, ხან რომ ორჭოფობს:
სიცოცხლეს სად აქვს თავი და ბოლო
ვინ გააჩინა და ან ვინ მოსპობს!

ვინ მოუქსოვა სამყაროს სუნთქვა
მზითვად ვინ მისცა სევდა და კვნესა,
ვინ უსაჩუქრა ღიმილის ჯილდა
და თეთრ სიკვდილში ვინ გადალესა?

ო, თუმცა ვიცი ცხოვრების ლტოლვა
ვერ აამღვრებს სიკვდილის ჰანგებს
მაგრამ ამ ქვეყნის გულ-დია მიზნებს,
არ დაამზგავსებს ქედ-მოხრილ ზანგებს.

და თუმცა მიწას ცამ მისცა ბელგა,
დაემორჩილა სამოთხის ნებას
და განა ვინმე ჩვენგანი ნახავს
ცისა და მიწის დაქორწინებას?

განა იქნება როდისმე მაინც
მზე შეურიგდეს გულ-ბოროტ მთვარეს,
როცა ის დღისით არ ეხმარება,
გააჩირაღდნოს ძირს არე-მარე?

და ვერც სიკვდილი გაიტანს ლელოს
ვერ ჩამოართმევს სიცოცხლეს სკიპტრას,
თუნდ ეს სამყარო აჯოჯოხეთდეს
და ზეცის თაღი თუნდ ჩამოიმტვრას.

მწამს რომ ესეა, მაგრამ კვლავ ვეძებ
სიცოცხლის თავსა და იმის ბოლოს,
არ დავისვენებ ოცნების გზაზე,
თუნდაც ამ ფიქრმა გადამიყოლოს.

ნინო თარიშვილი.

## საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები,

კომუნალურ განყოფილებაში. კომუნალური განყოფილება შეერთებულია სამეურნეო საბჭოსთან, მის განკარგულებში იმყოფება ელექტრო სადგური, რომელიც აწვდის განათებას ქალაქსა და ყველა საბჭოთა დაწესებულებებს, ეკონომიური განყოფილების ძიერ ღდიდან საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისა მოწყობილია აბანო, სადალაქო, სახარაზო, სათერძო და სადურგლო, რომლებიც ანაც უმთავრესად სარგებლობენ საბჭოთა დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი. ოზურგეთში არსებული ტყავის ქარხანა პირველად აწარმოებდა მუშაობას, მხოლოდ ეხლა შეჩერებულია საჭირო მასალის უქონლობის გამო. ამ ქარხნის შესახებ ეკონომიური განყოფილებას მოლაპარაკება აქვს ქარხნის ძველ მეპატრონესთან საქმის რიგიანად დასაყენებლად. წინად ეკონომიური განყოფილების განკარგულებაში იყო ნატანების ხერხის ქარხანა, რომელიც ჩამოერთვა მას და გადავიდა ცენტრის განკარგულებაში. განყოფილებას ბევრი რამის გაკეთება აქვს მიზნად დასახული, მაგრამ ხელს უშლის უსახსრობა. ის შემოსავალი, რომელსაც ადგილობრივად (ყაფიდან, აბანოებიდან, სადალაქოებიდან, სასაკლაოდან, და სხვ.) ღებულობს, განყოფილებას არ ყოფნის წვრილმან ხარჯებსა და მას არაფერი რჩება რაიმე ახალის შესაქმნელად.

### სოციალური უზრუნველყოფა.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას აუარებელი დარიბ ღატაკნი აწუხებიან და ითხოვენ დახმარებას, რომ ყველა მთხოვნელები დაკმაყოფილებულ იქმნან, ამისთვის საჭიროა დიდი თანხა, რაც არასოდეს არ ჰქონია განყოფილება შეძლებისადაგვარად უწევდა და უწევს დახმარებას უკიდურეს გაჭირვებულებს.

### საზოგადო მუშაობა და შრომის ბეგარა.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ოზურგეთის მაზრაში ბევრჯელ იყო მოწყობილი საერთო მუშაობა გზებისა და ბოგების შესაკეთებლად. გურიის უმთავრეს გზატკეცილზე საჯავახოსა და ჩოხატაურს შუა მენშევიკების დროს წყლისაგან სრულიად დაქცეული გზა შეკეთებულ იქნა. ნაგომარის რაიონში დაწყებულია მუშაობა დიდი სარწყავი არხის გასაყვანად. ნიგოითის რაიონში ამოშრობილ იქნა ჭაობი. დამუშავებულ იქნას ოზურგეთში სათბობი მასალა და სხვ. ამ დარგში რევკომს განზრახული ჰქონდა კიდევ ბევრის გაკეთება, მაგრამ ხელს ძლიერ უშლიდა ხალხის ცუდი ეკონომიური მდგომარეობა და გაუდმებული წვიმები. განზრახულია ხატანებ ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა.

### პოლიტიკური განწყობილება.

საბჭოთა სისტემის საწინააღმდეგოდ არ ყოფილა არავითარი გამოსვლა ან სხვა რაიმე უკმაყოფილება, ადგილობრივი ხელისუფლების და მშრომელ მასსას შორის სოლიდარული განწყობილებაა.

### სამოქალაქო მდგომარეობის ჩაწერა.

მაზრაში არსებობს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სიგელების ჩამწერი განყოფილება. სასულიერო პირებს ჩამოერთვათ მეტრიკული წიგნები და საეკლესიო საბუთები. თემებში ჩაწერას აწარმოებენ თვით რევკომები. ამ საქმის თავის დონეზე დაყენებას ძლიერ შეუშალა ხელი სარეგისტრაციო წიგნების, ბეჭდების და სხვა საჭირო მასალების ცენტრიდან მიუღებლობამ. წიგნებში ჩაწერილია: დაქორწინების 6, გარდაცვალებ ის—2, განქორწინების—2 და მეტრიკის გაცემის—26.

### სათემო რევკომებში.

სათემო და სარაიონო რევკომების ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ადგილობრივად მათ თითქმის არავითარი შემოსავლის წყარო არა აქვთ, რომლის საშუალებითაც მათ შეეძლოთ ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და რაიმეს გაკეთება. მიუხედავათ ამისა ისინი საერთო ძალით, თვით საზოგადოების დახმარებით უძღვებიან ადგილობრივ საქმეებს: აუმჯობესებენ გზებს, აშ ნ იქ აგებენ ახალ შენობებს, და აკ თებენ სკოლისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობებს, ხიდებს და სხვ. მათი მხურვალე დახმარებით იწერება და იკოიბება საზოგადოებაში სხვა და სხვა გადასახადები, ამზადებენ სათბობ მასალას და საერთოდ ყურადღებას აქცევენ მაზრაში რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საქმეს.

დაკარგა პასპორტი და რეგისტრაციის მოწმობა მოცემული მე-8 კომისარიატიდან. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.
მოქ. ივანე ალექსის-ძე ნახუცრიშვილი.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვმა
განაახლა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი ცეცხლმქრობელ რაზმის უკან ახალშენებულის ქ. № 5.
(Новобебутовская.) 1

ჯელადი-რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.